F 343
1999

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დილა

№1 იანვარ-თებერვალი 1999 წელი

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?



ელექტრონული ბიბლიოთეკა






## ყველა ფურცელი საჩუქარია

### ლალი ჯაფარაშვილი

იავნანები, ვარდონანები,
თუკი ისწავლე ანა-ბანები,
თავი ანებე აკუნ-ბაკუნებს,
ფეხები განზრახ დააბაკუნე
და მოითხოვე, კამფეტის წილად
გამოგიწერონ ჟურნალი „დილა“!
ნატიფ-ნაქარგი
ანა- ბანები,
რებუსები და გამოცანები...
საოცარ ამბებს,
ფერად ნახატებს,
ჭიკჭიკა ლექსებს
მოგიფარფატებს...
გულს უხარია, თვალს უხარია, -
ყველა ფურცელი საჩუქარია!
ჰოდა, მოეშვი აკუნ-ბაკუნებს,
ფეხები განზრახ დააბაკუნე
და მოითხოვე, წვენების წილად
გამოგიწერონ ჟურნალი „დილა“!
მოგიგურგურებს, მოგიალერსებს,
გიამბობს ზღაპრებს, გასწავლის ლექსებ...
შემოგიკეცავს შალითას ფრთხილად
და სიზმარეთშიც გაგყვება „დილა“!





## ჟურნალი «დილა»

### გურამ კობერიძე

სისხამ დილით ფოსტის ყუთში
ჩამწყვდეული დამხვდა „დილა“,
გამოვუშვი, მაგრამ ჩემთვის
მის დათმობას არვინ ცდილა;
ვინაიდან უფროსები
ყველა „დილით“ გამოზრდილა,
საღამომდე კითხულობდნენ,
მეორე დღეს მერგო „დილა“.
ისე იყვნენ გართულები,
აღარავინ მასადილა,
დავრწმუნდი, რომ ჩვენს ოჯახში
საჭიროა ორი „დილა“.





***

### ირაკლი ლომოური

ჟურნალია საყმაწვილო,
განთიადზე გადაშლილა,
ჩაჰკირკიტებს გოგო-ბიჭი
ყველას უყვარს ჩვენი ....



მხატვარი ნანა სა[illegible]ბია

ნანა ჩარკვიანი

# სიცრუის შესახებ



ჩვენ უკვე ვისაუბრეთ სინანულისა და აღსარების შესახებ და ვთქვით, რომ სინანულითა და აღსარებით ვეცნობით საკუთარ თავს, ვიგებთ სიმართლეს საკუთარი თავის შესახებ, უამრავ ნაკლს აღმოვაჩენთ ჩვენში. რა თქმა უნდა, არავის მოსწონს, აღიაროს რომ ხანდახან მშიშარაა, ხანდახან ტყუის, ხან ვიღაცის შურს, ხანაც ზარმაცობს, ვიღაც არ უყვარს და ა.შ. მართლაც უსიამოვნოა, ამდენი საშინელება შენს თავში აღმოაჩინო. ადამიანს ამის დაჯერებაც კი უჭირს. ეს ალბათ იმიტომ, რომ ღმერთმა ადამიანი კეთილ არსებად შექმნა. სიტყვა კეთილი ძველ ქართულ ენაში აღნიშნავდა კარგს. აი, რა წერია ბიბლიის პირველ წიგნში, რომელსაც „დაბადება“ ეწოდება: „და იხილნა ღმერთმან ყოველნი რაოდენნი ქმნნა და აჰა, კეთილ ფრიად“. „კეთილ ფრიად“ ნიშნავს არა უბრალოდ კარგს, არამედ ძალიან კარგს. და აი, ასე ფრიად კეთილად შექმნილი ადამიანი თავის თავში ვერ ეგუება ცოდვით შემოტანილ სიმახინჯეებს და ცდილობს გაექცეს მას. ცოდვას მართლაც უნდა განეშორო, ე.ი. შორს უნდა დაიჭირო მისგან თავი, მაგრამ ადამიანების უმრავლესობა საკუთარ ცოდვებს უბრალოდ არ აღიარებს და ჰგონია, რომ ასე დააღწევს მათ თავს. სინამდვილეში ცოდვა შემოდის ჩვენში, ანგრევს ჩვენს სულს და მოაქვს სიკვდილი. ადამიანი, რომელიც არ იმჩნევს საკუთარ ცოდვებს, თავს იტყუებს — ყველაფერში მართალი ვარო. მოდით გაიხსენეთ, როგორ სწყინთ ხოლმე ადამიანებს, როცა სხვები ატყუებენ, ანდა გაიხსენეთ საკუთარი თავი, როგორი შეურაცხყოფილი რჩებით, როცა ვინმე გატყუებთ. და ამის შემდეგ წარმოიდგინეთ, რა ცუდია, რომ შეიძლება მოატყუო საკუთარი თავი და არც არაფერი შეიმჩნიო.

სახარება გვასწავლის, რომ არც ერთი ადამიანი არ არის სრულყოფილი, ე.ი. უნაკლო; რომ ჩვენ თვითონვე უნდა ვეცადოთ, გამოვასწოროთ საკუთარი უარყოფითი თვისებები. ცოდვა მართლა ანგრევს ადამიანს, მაგრამ ქრისტე გვაძლევს ძალას, მადლს, რომ გავხდეთ საკუთარი თავის მაშენებლები. ქრისტე გვეუბნება: „თქვენ ხართ ტაძარნი სულისა წმიდისა“. ხელოვანი არის არა მხოლოდ ის, ვინც წერს ლექსს, თხზავს მუსიკას, ან აგებს ტაძარს, არამედ ვინც აშენებს ცოდვით დანგრეულ საკუთარ თავს, ვინც საკუთარ თავში აგებს სული წმიდის ტაძარს ე.ი. თავის თავს აქცევს „ღმერთის სახლად“.

მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა. უნდა ვიცოდეთ სიმართლე ღმერთის შესახებ. ჩვენ კარგად უნდა ვიცნობდეთ ღმერთს, რათა სიცრუემ, ტყუილმა მის შესახებ არ დაგვაშოროს მისგან, როგორც ეს დაემართათ პირველ ადამიანებს. მოდით, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ პირველი მცნება, რომელიც ღმერთმა ადამს მისცა: „ყოვლისაგან ხისა სამოთხისა ჭამით სჭამო, ხოლო ხისა მისგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა შჭამოთ მისგან, რამეთუ... სიკუდილითა მოსწყდეთ“. და, აი, მოდის დაცემული ანგელოზი, ბოროტი სული და ევასთან საუბარს ტყუილით იწყებს: — რატომ გითხრათ ღმერთმა, რომ სამოთხის არც ერთი ხისაგან არ ჭამოთ ნაყოფიო? ბოროტი ანგელოზი ევას წარმოუდგენს არა მზრუნველი ღმერთის სახეს, არამედ მკაცრი და სასტიკი ღმერთისა, რომელიც ყველაფერს (ყველა ხის ნაყოფის ჭამას) უკრძალავს მას. და ევაც ამ ტყუილს ნახევრად იჯერებს. ის პასუხობს: „ყოვლისაგან ნაყოფისა ხისა სამოთხისა ვჭამოთ“, — მაგრამ შემეცნების ხის შესახებ თავის მხრივ უმატებს „ხოლო ნაყოფისაგან ხისა, რომელ არს შორის სამოთხისა, თქუა ღმერთმან არა სჭამოთ მისგანი, არცა შეეხნეთ მას, რათა არა მოჰკუდეთ“. ეს სიტყვები — „არცა შეეხნეთ მას“, რომლებიც ევამ თვითონვე მოიგონა, სწორედ იმას ნიშნავს, რომ ევა დაეთანხმა ბოროტ ანგელოზს, მან დაიჯერა ცილისწამება ღმერთზე, თითქოს ის ისეთი მკაცრი და სასტიკია, რომ შემეცნების ხის შეხებასაც კი უკრძალავს „საწყალ“ ადამიანებს. მას შემდეგ, რაც ბოროტმა ანგელოზმა მოახერხა ღმერთის სახის გამრუდება ევას წარმოდგენაში, კიდევ უფრო დიდი ტყუილი შესთავაზა მას — ღმერთი იმიტომ კი არ გიკრძალავთ შემეცნების ხის ნაყოფის ჭამას, რომ სიკვდილით მოკვდებით, არამედ იმიტომ, რომ იცის, „რომელსა დღესა სჭამოთ მისგანი, განგეხუნენ თქუენ თუალნი და იყვნეთ, ვითარცა ღმერთნი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა“. ე.ი. ღმერთს არ უნდა იცოდეთ სიკეთე და ბოროტება, რომ არ გახდეთ ღმერთის მსგავსნიო.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატარაობისას ჩვენ საკუთარი მშობლებიც გვიკრძალავდნენ ასანთთან, ცეცხლთან თამაშს, მაგრამ იმიტომ, რომ გვიფრთხილდებოდნენ, რათა არ დაგვეწვა რაიმე ან ხანძარი არ გაგვეჩინა. ეს ხომ სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მშობლებს არ უნდათ ვიცოდეთ ასანთის ხმარება, ან ცეცხლის გამოყენება, რათა არ გავხდეთ მათი მსგავსნი. ღმერთმა იცოდა, რომ ბოროტების შემეცნება (გაცნობა, გაგება) ჯერჯერობით საზიანო იქნებოდა ადამიანებისათვის, ამიტომაც გააფრთხილა ისინი — „სიკვდილითა მოსწყდებით“. ნახეთ რა საინტერესო სიტყვაა — „მოსწყდებით“. სიკვდილი არ არის ერთწამიერი მოვლენა, ის რაღაც დროის მანძილზე გრძელდება (ჩვენ ხომ დროში ვცხოვრობთ). მოწყვეტილი ყვავილი ცოტა ხანს ინარჩუნებს თავის სახეს, შემდეგ კი ჭკნება და კვდება. ასევეა ადამიანიც, თუ ის მოწყდა ღმერთს — ნიადაგს, და სიმართლეს — ფესვებს, რითაც საზრდოს იღებს და იკვებება, ერთ ხანს გაძლებს, ბოლოს და ბოლოს კი მოკვდება.

აი, რა ძალა აქვს ტყუილს. პირველი ადამიანის წარმოდგენაში კეთილი და მზრუნველი ღმერთი გადაიქცა მკაცრ, სასტიკ, უსამართლო არსებად. ადამმა და ევამ დაკარგეს ღმერთის ნდობა და სიყვარული და ღმერთის გარეშე მოინდომეს გამხდარიყვნენ სიკეთისა და ბოროტების მცოდნენი, მაგრამ ამის ნაცვლად „სიკვდილით მოსწყდნენ“.

გახსოვთ, ანდერსენის ზღაპარი „თოვლის დედოფალი“? ტროლმა, უბოროტესმა არსებამ, გააკეთა სარკე, რომელიც საშინლად ამახინჯებდა, საზარელ სახეს აძლევდა ყველაფერს, რაც მასში აირეკლებოდა. კეთილი და მნიშვნელოვანი მასში უაზრობად და სისულელედ ჩანდა. თავისი საშინელი სარკით ტროლმა დედამიწის ყველა ქვეყანა მოიარა და ბოლოს ანგელოზებთან და თავად ღმერთთან მოინდომა მიეღწია. რაც უფრო ზემოთ აჰქონდა სარკე, ის სულ უფრო და უფრო ილრიცებოდა, ბოლოს ხელიდან გაუვარდა, დედამიწაზე ჩამოვარდა და უთვალავ პატარა ნამსხვრევად იქცა. სწორედ ერთი ასეთი ნამსხვრევი ჩაუვარდა თვალში, თვალიდან კი გულში პატარა ბიჭუნას. ამის შემდეგ ადრე მოსიყვარულე და ხალისიან ბიჭს უამრავი საშინელება დაატყდა თავს, გახდა უჟმური და უკმაყოფილო. ვარდების სილამაზე საშინელებად ეჩვენებოდა, სურათებიანი წიგნები, რომლებსაც თავის მეგობარ გოგონასან ერთად ათვალიერებდა და ძალიან მოსწონდა, სრულიად აღარ აინტერესებდა, საყვარელ ბებიკოს კი დასცინოდა და აბრაზებდა. ბოლოს და ბოლოს ის აღმოჩნდა თოვლის დედოფლის ლამაზ, მაგრამ უდაბურ, უსიცოცხლო, გამოყინულ სამეფოში, სადაც მას მშობლიური სახლი, საკუთარი ქალაქი და ყველა თავისი ახლობელი ადამიანი დაავიწყდა.

ანდერსენის ზღაპრის სარკე არის სიცრუის, ტყუილის სარკე, რომელიც ყველაფერს უკარგავს თავის ნამდვილ სახეს, ამახინჯებს იმ სიკეთეს, რასაც ღმერთი ანიჭებს ყველაფერს. ის, რომ ბიჭუნას დაავიწყდა მშობლიური სახლი და ახლობელი ადამიანები, ნიშნავს, რომ მან დაკარგა სიყვარულის უნარი. აი, რა საშინელება მოაქვს ტყუილს.

სულ პატარა, ერთი შეხედვით უწყინარი ტყუილიც კი, როცა ამით თითქოს არაფერი შავდება, ძალიან სახიფათოა, რადგან ის, პირველ რიგში, ჩვენს სულს აზიანებს. ტყუილი ჩვენს სულში აჩენს თავიდან ძალიან პატარა ბზარს, მაგრამ ამ ერთი ციცქნა ბზარიდანაც კი ჩვენს გულში შეიძლება შემოაღწიოს ბოროტი ტროლის სარკის ნამსხვრევმა (სიმართლე არის სიმრთელე). ეს ნამსხვრევები განურჩევლად ყველა ადამიანს ვერ დააზიანებს. ანდერსენის ზღაპრის ბიჭუნა შემთხვევით არ გამხდარა მისი მსხვერპლი. როდესაც ის გაიგებს თოვლის დედოფლის შესახებ, დაიტრაბახებს — აბა ერთი გამოჩნდეს ჩვენთან, ღუმელზე დავსვამ და ერთ წამში დადნებაო. ტრაბახა და ბაქია ადამიანებს საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვთ. ესეც ტყუილია, ისინი ვერ აფასებენ საკუთარ ძალებს და ცდილობენ სხვებს უკეთესად მოაჩვენონ თავი, ვიდრე სინამდვილეში არიან. ჩვენ მოჩვენებითად კი არა, სინამდვილეში უნდა გავხდეთ უკეთესები. ამისათვის კი აუცილებელია გვინდოდეს, გავიგოთ სიმართლე საკუთარ თავზე, ვიცოდეთ ჩვენივე ნაკლი, რომ გამოვასწოროთ ის; გვინდოდეს, ვიცოდეთ სიმართლე ღმერთზე, რომელმაც მოგვცა სიცოცხლე და მოგვცა სამყარო, და მოგვინდეს მასთან ერთად ცხოვრება.

ამ სიმართლეს ინახავს და იცავს მართლმადიდებელი ეკლესია, ამიტომაც ჰქვია მას მართლ მადიდებელი, ე.ი. სიმართლის მატარებელი და მასწავლებელი, სიმართლის მოყვარე და მადლიერი, სიმართლის აღმსრულებელი და სიმართლის აღსრულების (ე.ი. შესრულების) ძალის მომცემი. სწორედ სიმართლე, სიმდაბლე (თავმდაბლობა) და სიყვარული უნდა დავუპირისპიროთ სიცრუეს, რომ გავხდეთ ღმერთის მსგავსნი, იესო ქრისტეს მსგავსნი. იესო ქრისტე შეგვეწიოს! ამინ.



მხატვარი **კახა ასლანიშვილი**

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ლიდა სტვილია

## გადაშენდა ბაყბარი — ჰაიდა და... ჰაიდა!..

... მაგ დამპალ ჭაობიდან
ამობრძანდა ბაყბარი!
ბაყბაყ-დევი ბაყბარი
გულზე შემოსაყარი...
ჭიდაობა მინდაო,
ეძებს: - გმირი სად არის.

... გაეღვიძათ ბალახში
ბადრის, უსუპს, ამირანს,
ამირანმა ბაყბარის
მეცხრე თავიც განგმირა!... -

წაახურეს სუდარა -
ჰეიდა და... ჰეიდა
და.. და ბოლო ბაყბარიც
გააცილეს მეიდანს! -

ცივად დარჩა ჭაობიც, -
ჭამა-ულაპვის ყაიდაც...
გადაშენდა ბაყბარი -
ჰაიდა და.. ჰაიდა!..

ცირა ქიტიაშვილი

## ფიქრი

სიზარმაცეს არ ვახარებ,
ხუთი ტყვია დავახალე,
ყველა გაკვეთილი მოვრჩი,
უცბად გავხდი სწავლის ყოჩი.
სად მაქვს თავი შესარცხვენი,
კართან მელოდება ცხენი,
უქმად ხომ არ გავაჩერებ,
მოვახტები, გავაჭენებ.
ვერ ველევი ამ ფუჭ ფიქრებს,
ვტრაბახობ და ეზოს ვიკლებ,
კაცი ჭკუას თუ მოვიკრებ,
ვიბეჯითო მართლა იქნებ.
არა გჯერა, ბოხვერავ?
შემიღრინა ოხერმა.

## ენძელა

არ გააჩინა დღეგრძელად
დედა ბუნებამ ენძელა,
მაგრამ ყვავილი ქათქათა
საგულდაგულოდ დახატა
თოვლზე უთეთრეს ფერითა,
გვაოცებს ნათელ მზერითა.
- არც ბუჩქად ვდგავარ,
არც ხედო,
რა სპეტაკი ვარ,
ნახეთო!



მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

გუგული ტოგონიძე

# ბალახის სიმღერა



– რის მაქნისი ვარ? – ვიფიქრე ერთხელ. ვისაც როგორ უნდა, ისე მთელავს. არავინ იწუხებს თავს ჩემთვის. ისე ამოვალ დედამიწიდან და ისე ჩავხმები, სამადლობელსაც არ მეტყვიან. აი, მსხმოიარე ხეს კი ზედ დაჰხარიან, თავს ევლებიან, შიშობენ, არ გახმესო. ნაყოფს დაისხამს და ოჰ, როგორ უხარიათ ბავშვებს.

მე კი, რა ვარ? ნეტავ ხედ მაინც გავჩენილიყავ.

ერთხელ თვალები დავხუჭე და წუთით წარმოვიდგინე... ბალახი კი არა, ვითომ ხე ვიყავი... გახარებულს ტოტები მინდოდა შემერხია, ფოთლები ამეცეკვებინა, მაგრამ ნახირის ზმუილი შემომესმა და გავირინდე. ძირს ჩამოვიხედე, ბალახის ნასახი არსად ჩანდა. მიწა მოტიტვლებულიყო, სილამაზე დაჰკარგვოდა, ფერდი-ფერდზე მიკრული, მშიერი ნახირი ძლივს დალასლასებდა. გახრიოკებულ ველზე ბებერი ლოდი აყუდებულიყო და გაშტერებული ბუბუნებდა: „საოცრებაა, მწყემსებმა საიალალო ადგილები დაიარეს და საბალახო ვერ იპოვეს. გაწყდება ცხვარძროხა“...

დედამიწა ჩანაცრისფერებულიყო. მთები და სერები მწვანედ აღარ ხასხასებდნენ. პეპლები უხალისოდ აფამფარებდნენ ფრთებს. ფრინველები მობუზულიყვნენ. წიფობელა ნაღვლობდა: –ვეღარ გავგოგდები ველზეო. დაღონებულიყო რქებბორჯღალიანი ირემი. ბებერ ლოდთან საბრალო კურდღელი დაყუნცულიყო, ყურებდაცქვეტილს თვალები დაეჭყიტა და – მშიაო, – მოთქვამდა.

დედაბრები სამკურნალო ბალახებს დაეძებდნენ. ვერ პოულობდნენ და... – ღმერთო, რა გვეშველებაო, – ვიშვიშვებდნენ.

ავფორიაქდი. ტოტები დაბლა დავუშვი და, მეც არ ვიცი როგორ, ცრემლები ჩამომცვივდა, სული ყელში მომებჯინა:

– აღარ მინდა ხედ ყოფნა, აღარ! – წამოვიძახე და თვალები გავახილე... მდელოზე ნახირი გამოფენილიყო და ბალახს ძოვდა. მწყემსი გულარხეინად იდგა და ბიბინა მთა-ველს გასცქეროდა. ღაღანა ყვავილებში ჩიტები ჟღურტულებდნენ. კურდღელი ბებერ ლოდს ამოფარებოდა და ამოქუჩქუჩებულ ბალახს შეექცეოდა...

და მაშინ, როცა მდელოზე ფეხშიშველა პაწია გოგომ გაიტანტალა, წვიმის ცვარით წვივები დაინამა და გადაიკისკისა, ბატკნიყურას, მრავალძარღვას, ორფოთოლას და მატიტელას გადავძახე: – ჰეი, ბიჭებო, თავი წამოსწიეთ-მეთქი! და ავმღერდი...

მზეკაბანმა დაუარა ველს და მინდვრების დიდმა ქარებმა აიტაცეს ჩემი სიმღერა... ბალახის სიმღერა...

და იცით? აღარ მინატრია მსხმოიარე ხედ ყოფნა...

ვმღერი, ვმღერი დაუსრულებლად და მინდვრის დი... ქარებს კიდით კიდემდე მიაქვთ ჩემი სიმღერა.

მხატვარი **ვაჟა ქურხული**

ელგუჯა ლებანიძე

## ჩვენც სკოლაში მოვდივართ!

თამთას კუდში დასდევდნენ
ცუგო, ფისო, ვარიკა,
აწრიალდნენ, როგორც კი
სკოლის ზარმა დარეკა.
მოიწვიეს თათბირი,
ლამის დასცეს ნაღარა,
- ჩვენც სკოლაში მოვდივართ, -
ცუგომ თამთას ახარა.



## ჩოჩორი

სულ გაამაყდა ჩოჩორი,
რაც დაივარცხნა ქოჩორი,
იმას შეურცხვეს პირიო,
ვინც დამიმახოს ვირიო.



ნიკოლოზ იოსებიძე

## სწავლაში ზარმაცი, ჭამაში მამაცი

დილით ძლივს ააყენეს
მიხო ტლუ და ზარმაცი,
ფეხზე ამდგარს ეძინა,
დადიოდა ბარბაცით.
პირი არ დაიბანა,
ისაუზმა მაძღრისად
და დაიწყო გავსება
საჭმელებით ჩანთისა.
დედამისმა უყვირა:
- რას აკეთებ მაგასო?!
ჩაალაგე წიგნები,
თორემ ვეტყვი მამასო.
- ვისაც გინდა, უთხარი,
მშიერი ვერ ვიქნები,
ჩანთა გატენილია,
სად ჩავაწყო წიგნები?!



## ყოჩაღი დათუჩები

პანტა ცვივა პანტა-პუნტით,
ბელებს პანტის სუნი უდით,
დედა დათვი თათებმრუდი,
პანტას ეზიდება გუდით.
მამას, დათუჩების ხათრით,
თაფლი მოაქვს დიდი კასრით,
დედა ბელებს ყოველ დილით
თაფლს ურიგებს თიხის ქილით.
მალა ერჩით ციცქნა ბელებს
თათს ხმარობენ, როგორც ხელებს,
გუშინ მუ მგელს, ავს და რეგვენს
ოთხი ლეკვი მიუბეგვეს.
უხარიათ დედას, მამას,
ბელებს ზრდიან ჯანმრთელს, თამამს,
პოდა, ყოველივე ამას,
უმადლიან თაფლის ჭამას.



მხატვარი ზაურ დეისაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვებო, თქვენ ალბათ შეამჩნიეთ, რომ ჩვენს რედაქციას ხშირად სტუმრობენ ნორჩი შემოქმედები. ამ ნიჭიერი ბავშვებიდან ზოგი ლექსსა და მოთხრობას წერს, ზოგი ხელმარჯვე ოსტატია, ზოგიც ხატავს.

ეს თვალებციმციმა გოგონაც ერთ-ერთი მათგანია. ანუკა გოგოსაშვილი 10 წლისაა, სწავლობს 53-ე საშუალო სკოლაში, ძალიან უყვარს ხატვა და ჟურნალი „დილა“.







„დილის“ სიყვარულმა დაამეგობრა რედაქციასთან კიდევ ორი პატარა მხატვარი
საბა კინწურაშვილი და გიორგი ლიპარტელიანი.



გიორგი ლიპარტელიანი







დოდო დეიდა.

მე მქვია საბა. ახლა 3 წლის ვარ. ძალიან მიყვარს ხატვა და კითხვა. კითხვით დედიკო და ბებო მიკითხავენ, ხატვაში კი არავის დახმარება არ მჭირდება.
ლია დეიდამ მომიტანა თქვენი ჟურნალი „დილა“. ძალიან მომეწონა. ლამაზი ნახატებია. მეც მინდა, თქვენი ჟურნალის მხატვარი ვიყო.
ახლა გიგზავნით ჩემს ნახატებს, თუ მოგეწონებათ, მერე კიდევ ბევრს დაგიხატავთ.
დიდი მადლობა ასეთი ლამაზი ჟურნალის გამოშვებისთვის.

საბა კინწურაშვილი





# 161-ე სკოლა



– სკოლა ჩემთვის მთელი ცხოვრებაა. ჩემი სულის უმთავრესი ნაწილია. იგი ჩემი არსებობის დედააზრია.

– მოსწავლეებთან ურთიერთობა რთულია. გასათვალისწინებელია თითოეული მათგანის ასაკი, ხასიათი, შინაგანი ბუნება. ყველა მოზარდს საკუთარი გულის კარი აქვს. მისი გულის გასაღებად შესაფერისი გასაღებიც უნდა მოიძებნოს.

– აღზრდის ყველა მეთოდი კარგია, თუ მიზანს მიაღწევ. პირადად ჩემთვის მისაღებია კლასიკურ სტილში შეზავებული თბილი, ადამიანური ურთიერთობები – აცხადებს 161-ე სკოლის დირექტორი ბატონი ჯუმბერ ცერცვაძე.





სასწავლებელში ყველაფერს მისი მზრუნველი ხელი ეტყობა: შესვლისთანავე დისციპლინა და საოცარი წესრიგი გეცემათ თვალში – მოვლილი და გამართული სპორტული მოედნიდან დაწყებული, ბიბლიოთეკის მყუდრო და სუფთა სამკითხველო დარბაზით დამთავრებული... მოსწავლეების განკარგულებაშია აქ ყველაფერი: საკლასო ოთახები და სასკოლო სახელოსნო თუ საკონცერტო და საგამოფენო დარბაზები...

სკოლა-მუზეუმი – ასე მონათლა ბატონმა ელგუჯა ამაშუკელმა 161-ე სკოლა.

საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი ექსპონატები შრომის გაკვეთილზეა შექმნილი სასკოლო სახელოსნოში. 40 წელია, რაც აქ ბავშვებს ქართული ხეზეკვეთილობის ხელოვნებას აზიარებს, შრომისა და მშვენიერების სიყვარულს ასწავლის ბატონი ალექსანდრე კალანდაძე.

სასკოლო მუზეუმს დღემდე 600-ზე მეტი ოქროს მედალი აქვს მიღებული.

სკოლის მშვენიერ საკონცერტო დარბაზს უქმად ყოფნა არ უწევს. ან კი ვინ დააცლის, როცა სასწავლებელში სხვადასხვა კონკურსების ლაურეატები, პრეზიდენტის სტიპენდიანტები, „სახელგანთქმული“ ვოკალისტები, მხატვრული კითხვის „დიდოსტატები“ და კიდევ ბევრზე ბევრი ნიჭიერი ბავშვი სწავლობს. ამიტომ არის, რომ ყველა აქ გამართული ღონისძიება ანშლაგით ტარდება.



ლუარა გორდიევიჩი

# როგორ უნდა მივმართოთ კატებს...



ეროვნული ბიბლიოთეკა

„კატავ ბატონო!“ – ურიგო არ იქნება ასე მივმართოთ ამ ნებიერას. იაპონური კალენდრით წელს ხომ კატის წელიწადია და ნუ გავანაწყენებთ „ბატონ კატას“. მით უმეტეს, ის ისეთი ალერსიანია, თითქოს გვეუბნება, მე მთლიანად შენი ვარ, მომეფერე და შენ კარგად იქნებიო. მისი ალერსი ჰიპნოზური და დამამშვიდებელია. კატა რბილია, გრაციოზული, სუფთა და ფაქიზი; კეთილსინდისიერია და პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა აქვს. თუმცა, ცოდვა გამხელილი ჯობს, ცოტა ფაცი-ფუცაა, ცოტა ბუზღუნა, ცოტაც პატივმოყვარე და ეგოისტი. ის დიდ სიყვარულსა და ყურადღებას ითხოვს, მაგრამ თავადაც უშურველად გასცემს სითბოს. ამასთან უზომოდ ერთგულია, თუმცა ძაღლის მსგავსად მონური მორჩილება არ შეუძლია.

პატრონს ის ეალერსება, ტკბილად უკრუტუნებს, წასვლისას უკან აედევნება, შინ დაბრუნებულს კი სიხარულით ეგებება.

ნახეთ, პატარა კნუტმა როგორ დაუმტკიცა სიყვარული თავის პატრონს, რომელიც ფილტვების ანთებით გახდა ავად! იგი მომვლელთან ერთად საწოლთან ეჯდა ავადმყოფს და არ შორდებოდა. თუ მომვლელს ჩაეძინებოდა, წამლის დალევის დროს ფისო მას სხვადასხვა ხერხით აღვიძებდა. ე.ი. კატას შეუძლია თავისი სურვილი და აზრი ამცნოს ადამიანს.

ერთ სახლში კატა და თუთიყუში ცხოვრობდნენ და ძალიან მეგობრობდნენ. ერთხელ დიასახლისმა ცომი მოზილა და სამზარეულოში ღუმელთან ახლოს დადგა – კარგად გაფუვდებაო, თვითონ კი გვერდით ოთახში გავიდა. ცოტა ხანში მასთან კატამ მიირბინა საცოდავი კნავილით, წინასაფარში ჩაავლო კბილი და სამზარეულოსაკენ ეწეოდა. თურმე თუთიყუში ცომში ფეხებით ჩაფლულიყო და ამოსვლა ვერ მოეხერხებინა.

ვინ ასწავლა კატას, რომ ცეცხლწაკიდებული წყლისკენ გარბის თავის საშველად?! ძაღლი და კატა რომ ერთმანეთს ვერ ეწყობიან, ყველამ ვიცით, მაგრამ მათი მეგობრობაც გვინახავს, როდესაც ძაღლი კბილებით აიყვანდა და ატარებდა კატას, მას კი სიამოვნებდა. ძაღლს არაერთხელ დაუკბენია თავისი თანამოძმე კატის წყენინებისათვის და კატაც ხშირად გამოქომაგებია მას.

ადამიანს შეუძლია ისე გაწვრთნას და აღზარდოს კატა, რომ არათუ ძაღლთან, არამედ ჩიტებთან და თაგვებთანაც კი მეგობრულად და მშვიდობიანად ცხოვრობდეს.

მაგრამ კატაში მეტია მხეცური ბუნება, ვიდრე ძაღლში. მაგალითად, ყველასაგან გარიყული, მაწანწალა ძაღლი ადამიანმა შეიძლება დაიმეგობროს და კვლავ მოიშინაუროს. უბინაო კატა კი ველური და მიუკარებელი ხდება.

კატები, განსაკუთრებით კი ძუ კატა, ძალიან მოჩხუბრები არიან. მათ დიდი აყალ-მაყალი აქვთ ქორწინების დღეებში – გაზაფხულზე, მარტის თვეში.

კატა ჩინებული დედაა. ის მზად არის მოუაროს არა მარტო საკუთარ შვილებს, არამედ დაობლებულ ძაღლის ლეკვებს, კურდღლის ბაჭიებს, პაწია ციყვებს; მგლის ლეკვებიც კი გაუზრდია. ყველას უალერსებს, ძუძუს აწოვებს, ისე როგორც საკუთარ შვილებს. მკაცრი დედაც არის – ასწავლის შვილებს, როგორ მოიქცნენ, ტუქსავს კიდეც, რომ ცუდ ჩვევებს გადააჩვიოს; როდესაც კნუტები წამოიზრდებიან, თაგვებზე, ვირთაგვებზე, ფრინველებზე, მწერებზე, შხამიან ქვეწარმავლებზე ნადირობას ასწავლის მათ.

ყველაზე მეტად კატას მოძრავი მსხვერპლი იტაცებს.

ლამაზი და კარგი ჯიშის კატად ითვლება ციმბირული კატა – ტანად იგი დიდია, გრძელი, რბილი ბეწვი აქვს. ბეწვით მას წააგავს კავკასიაში სახელგანთქმული ვანის კატა. საუკეთესო ჯიშის სიამის კატა ძალიან ამპარტავანია ბუნებით და წყენასაც იოლად არ ივიწყებს.

იქნებ არც კი დაიჯერო, რომ ჩვენი შინაური კატა და შმაგი, სისხლისმსმელი ვეფხვი ნათესავები არიან. დიახ, ეს ასეა და არა მარტო ვეფხვი, არამედ ლომი, ლეოპარდი, ავაზა, მინდვრის ფოცხვერი, ოცელოტი, პუმა, იაგუარი, შავი ავაზა – ყველანი დიდი გარეული კატები არიან.



რა აქვთ მათ საერთო? – სიმარდე, ამტანობა, სილამაზე, სისწრაფე, ბასრი კბილები და ბრჭყალები.

კატას შეუძლია დიდი სიმაღლიდან გადმოხტეს, ზურგზე არასოდეს ეცემა, ჰაერში შეტრიალდება და ძირს დაცემისას რბილად, ოსტატურად ოთხზე დადგება. გაჭირვებისას ცურვაც შეუძლია. საოცარი მხედველობა აქვს, როგორც დღისით, ისე ღამით; სმენა კი – მხედველობაზე თითქმის უკეთესი.

ამ ცხოველის სახელი ზღაპრებითა და მითებით არის შემოსილი. აზიის ხალხი უნდობლად ეკიდება მას. მიაჩნიათ, რომ კატაში ჯადოქარი ზის. ევროპაში კატებს ცოცხლად წვავდნენ, რადგან ბრალად სდებდნენ ეშმაკთან წილნაყარობას.

ვფიქრობთ, კატას ასეთი რამ არ დაუმსახურებია, თუმცა მის გამოხედვაში არის რაღაც მისტიკური.

ეგვიპტელები ოდითგანვე დიდ პატივს მიაგებდნენ კატას. ამბობენ – კატები ძველმა ეგვიპტელებმა მოაშინაურესო. ძნელი სათქმელია, როდის მოხდა ეს ამბავი, რომელი გარეული ცხოველიდან წარმოიშვა ჩვენი შინაური კატა. აფრიკის ბუჩქნარებში ახლაც ცხოვრობს ველური კატა, რომელიც ძალიან ჰგავს ჩვენს შინაურ კატას.

კატის ნიშნის მიხედვით დაბადებულები მოყვარულნი არიან, ერთგულები, მეგობრულები, ავადმყოფებისა და უბედურთა დამხმარენი, ახასიათებთ სხვების კეთილდღეობაზე ზრუნვა და მოვალეობის დიდი გრძნობა.

პატარებო! ეცადეთ თქვენც ასეთები იყოთ და ყოველი წელი სვებედნიერი იქნება თქვენთვის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

**მიხეილ ლანიშაშვილი**

## გოზინაყი

ქუა ვინ მოაცუცქნა
ჩვენს გოზინაყს მალულად? –
თქვა დედამ და ანუნას
გადახედა ფარულად...
– ჩემს კამფეტებს ყოველთვის,
როგორც ხშირად მიყვებით,
იპარავენ თაგვები,
კურდღლები ან ციყვები!..
ჰოდა, ეგ გოზინაყიც, –
გაიკვირვა ანუნამ, –
ალბათ თაგვი მოვიდა
და მან შეახრამუნა...

**ბათუ დანელია**

## დიტოს დაბადების დღე

დაბადების დღე აქვს დიტოს,
თავი უნდა გამოიდოს.
გაუშალა სუფრა ბიჭებს:
ტიტეს, რატის, კიტას, ლადოს,
ბაბუ სადღაც წასულია,
ბებომ უნდა ითამადოს.



მხატვარი ეკა გეგია

იაროსლავ პიშუმოვი

# გამარჯობა!

ეზოში მყავს კარგზე კარგი
მეგობარი უამრავი.

დილით, როცა კიბეს
ჩამოვირბენ მღერით,
ვესალმები ყველას
„გამარჯობათ თქვენი!“

მობაკუნდა ბეკეკა და
ასე მითხრა: მეო,
თუ მომესალმები,
უნდა მითხრა „მეეო“.

ხატაურა კატამ
აიპრიხა კუდი,
„მიაუო“-ო მითხარ, და
მომიხადე ქუდი.

დაიღრინა ყურშამ:
კატას უგდებ ყურსა?
უნდა მომესალმო:
„ჰამ, ჰამ, ჰამ, ჰამ, ჰამო!“

გადაბჟირდა იხვი:
სად წაუხვალთ სირცხვილს.

სად თქმულა, რომ დილას ყეფით
მოიკითხო ნაცნობები.

მე თუ მკითხავთ, ვიტყვი,
მირჩევნია ასე მომესალმოთ:
„ვიტ-ვიტ“.

მობაჯბაჯდა ბატი,
აზრი იყო მისი,
ქვეყნად ყველა სალამს
რომ სჯობია „სი-სი“.

შეაფრინდა მაღალ ყორეს,
მამალმა თქვა: ვინ იყო,
მეგობრის სასალამოდ
არ ამბობდა „ყიყლიყოს“?

შემეხვეწა ბოჩოლა,
ნუ კამათობთ, ნუო,
უბრალოდ და ლამაზად
მომესალმეთ „მუუო“.

აღარ ვიცი ახლა,
დავუჯერო რომელს,
როგორ მივესალმო
იმ ჩემს ძველ მეგობრებს.

თარგმნა
ნარგიზა მგელაძე











## შეავსეთ კროსვორდი!




ნელი ოქროპირიძე

მხატვარი თეა რიჟამაძე

ნინო არსენიშვილი

## პატარა მაწანწალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა მუცლები,
ჭიპებთან მიკრული
ჩანთებით უცვლელით,
ივსება
ხურდებით ნაშოვნი
ლუკმებით
უკლებლივ.



საღეჭი რეზინა
პიტნის თუ ქოლოსი,
ვაგონის თავში და
ვაგონის ბოლოში.
ცელოფნის პარკებით,
გაზეთით – ხუმრობით
გროვდება ხურდები
და ქრება ბავშვობა.
ასეთი სიცივე,

ასეთი ქარსი,
ასეთი ტკივილი
ნეტავი რამ შობა?!
პატარა მუცლები,
ჭიპებთან მიკრული
ჩანთებით უცვლელით,
ივსება
ხურდებით ნაშოვნი
ლუკმებით
უკლებლივ.

მარიამ წიკლაური

## დარჩა სოფელი მშიერი

ერთმა საწყალმა ქათამმა
ჩაყლაპა პურის მარცვალი
დიდი ჯაფა არ დაადგა
არც ფხა შეერჭო, არც მვალი.
მარცვალს გადაჰყვა სამკალი,
სამკალს – ბზეცა და საფქვავიც,
საფქვავს – ცომი და პურები,
სულ დაბრაწული ყუებით.
პურებს – ქადა და ნაზუქი
შობა-ახალ წელს ნაკურთხი,
ქადებს – ხმიადი, ქუმელა.
საბმელს ქარებმა უბერა.
დარჩა სოფელი მშიერი
კაკანმა ვეღარ უშველა.
ამდენი სად ჩაიტია
საწყალი ქათმის მუცელმა?



მხატვარი ნანა სანაია

# 51 – ე სკოლა

*ჩემთვის ბავშვზე დიდი ავტორიტეტი არ არსებობს! – აცხადებს 51-ე საშუალო სკოლის დირექტორი ქალბატონი ინესა იამანიძე. ამ პრინციპით ხელმძღვანელობს ყველა მასთან მოღვაწე პედაგოგი.*





ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის სახელს მისი მოსწავლეები და კურსდამთავრებულები ქმნიან, – ამბობს ქალბატონი ინესა.



ამ კედლებში წლების მანძილზე მართლაც ბევრი სახელოვანი ადამიანი გამოიზარდა, ყველგან შეხვდებით ყოფილ „ორმოცდამეთერთმეტელებს“. ვიღაცას ყველა მათგანის მემორიალურ დაფაზე აღნუსხვა მოუნდომებია, მაგრამ საჭირო ზომის სტენდის გაკეთება შეუძლებელი აღმოჩნდა. ის კი არა, სკოლის ბიბლიოთეკის თაროები ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულთა საავტორო კრებულებს ვეღარ იტევს – ცნობილი მწერლების, მეცნიერების და პუბლიცისტების წიგნების საძებრად 51-ე სკოლის დღევანდელ მოსწავლეებს შორს წასვლა არ უწევთ.



ყოფილი მე-7, მერე მე-18, ახლა კი 51-ედ წოდებული გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სკოლა მალე 80 წლის იუბილეს იზეიმებს.... ამ „ასაკოვანი“ სასწავლებლის ისტორიის მოთხრობას ერთი მემატიანე სჭირდება, მაგრამ ბარე ორი ახლად გამოჩეკილი „გიმნაზია“ ვერ დაიკვეხნის ასეთ ახალგაზრდულ შემართებას – სკოლას ორი ერთნაირი დღე, ორი ერთმანეთის მსგავსი გაკვეთილიც კი არ ახსოვს. თუ რამ სიახლე და სასიკეთო ცვლილებაა, უწინ აქ აიტაცებენ. შედით 51-ე სკოლაში და მიხვდებით, რა ძვრებია განათლების სისტემაში, დაესწარით ნებისმიერ გაკვეთილს და იგრძნობთ, რა არის რეფორმა.



სკოლაში შემოსული უკლებლივ ყველა ბავშვი ნამდვილ განათლებას უნდა იღებდეს, თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური პოტენცია მაქსიმალურად უნდა გამჟღავნდეს, სკოლას საამისოდ ბვრი საშუალება აქვს, – ამბობს ქალბატონი ინესა. დირექტორის ეს განცხადება მყარ საფუძველს ეყრდნობა – 51-ე სკოლას არც საქმის მცოდნე, პროფესიაზე და ბავშვებზე შეყვარებული პედაგოგები აკლია და არც დღევანდელი დღის შესაფერი სასწავლო-ტექნიკური ბაზა.

# სახალისო გრამატიკა

## ყველაზე პატარებისათვის

სალომე ომიაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასო-ბგერებისაგან შედგება მარცვალი.
მარცვლებისაგან შედგება სიტყვა.
სიტყვებისაგან შედგება წინადადება.

ასო-ბგერებსა და მარცვალს ჩვენ უკვე გავეცანით. ახლა სიტყვასა და წინადადებაზე გვექნება საუბარი.

შენ ხომ გქვია სახელი? შენს მეგობრებსაც სახელით მიმართავ, არა? ასევე ყველა ნივთს, ყოველ საგანს, შენს გარშემო, თავისი სახელი აქვს.

## სიტყვა საგნის სახელია.

საგნებზე როცა ვსაუბრობთ, მათ აღმნიშვნელ სიტყვებს ვასახელებთ.



საგანი შეიძლება იყოს სულიერი ან უსულო. მათ შორის იცი, რა განსხვავებაა? – სულიერს თავისით შეუძლია მოძრაობა, უსულოს კი – არა. ადამიანის გარდა, კიდევ რა გადაადგილდება თავისით?– ცხოველი, ფრინველი, თევზი, მწერი, ქვეწარმავალი. ესე იგი, რაც ახლა ჩამოვთვალეთ, ის საგნებიც სულიერია. უსულოა წიგნი, მერხი, დაფა და სხვა.



საგნის აღმნიშვნელი სახელი მოგვიგებს კითხვაზე ვინ ან რა.



ადამიანს რა კითხვას დაუსვამ?

□ □ □



დაიმახსოვრე:

ვინ კითხვა მხოლოდ ადამიანის აღმნიშვნელ სიტყვას, ანუ სახელს დაესმის.

რადგან ადამიანიც სულიერია და ცხოველიც, ზოგს ეშლება და ჰგონია, რომ სხვა სულიერსაც, მაგალითად კატას, ვინ კითხვა დაესმის.
მაგრამ ეს შეცდომაა.

ადამიანის გარდა, ყველას, სულიერსაც და უსულოსაც, რა კითხვა დაესმის.



ხლა, როგორც ყოველთვის, შევამოწმოთ, გაიგე თუ არა ყველაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძაღლი ყეფს.
– რა ყეფს?
– ძაღლი.

მასწავლებელი კითხულობს.
– ვინ კითხულობს?
–მასწავლებელი.

შეცდომით დასმულ კითხვებს ქვეშ ხაზი გაუსვი და ზეპირად გაასწორე.

კატა კნავის.
– ვინ კნავის?
– კატა.

მანქანა გაჩერდა.
– ვინ გაჩერდა?
–მანქანა.



ცხენი ჭიხვინებს.
– რა ჭიხვინებს?
– ცხენი.

ბიჭი თამაშობს.
– რა თამაშობს?
– ბიჭი.

ჩამოწერე ხუთი სულიერი და ხუთი უსულო საგნის აღმნიშვნელი სიტყვა, რომლებსაც კითხვა **რა** დაესმით.

1. ______________
2. ______________
3. ______________
4. ______________
5. ______________

1. ______________
2. ______________
3. ______________
4. ______________
5. ______________

## შენ ანდაზებიც გიყვარება.

ანდაზებს ხალხი თხზავს, იგონებს და ზეპირი გზით თაობიდან თაობას გადასცემს. ის ანდაზები უფრო დიდხანს ცოცხლობს, რომლებიც ყოველ დროს შეეფერება. ანდაზებში ხალხის სიბრძნე და დაკვირვების უნარი ჩანს. მე მგონი, ეს ანდაზები არ გეცოდინება, გაიაზრებ, მოგეწონება და დაიმახსოვრებ კიდეც. ერთი ხაზი გაუსვი იმ სიტყვებს, რომლებიც **ვინ** კითხვაზე მოგვიგებს.

ბავშვი აკვანში იცნობაო.

დედაბერმა იანვარში მარწყვი ინატრაო.

მოხუცის დარგული ხის ქვეშ შვილები და შვილიშვილები ისვენებენო.



ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო.
ავი კაცის ლუკმას ძაღლიც არ შეჭამსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დავალების შესრულებამაც დაგვარწმუნა,
რომ ვინ კითხვაზე მხოლოდ
ადამიანის აღმნიშვნელი სახელი მოგვიგებს.

ადამიანები თავიანთ სათქმელს ერთმანეთს
წინადადებების საშუალებით აგებინებენ.
წინადადება არის სიტყვა ან სიტყვების ჯგუფი,
რომელიც რაღაც აზრს
გადმოგვცემს, რაღაცას გვატყობინებს.

ერთი სიტყვით აზრის გადმოცემა ძალიან იშვიათია. ერთსიტყვიანი წინადადებები
უმეტესად ბუნების მოვლენების ან ამინდის შესახებ გვამცნობენ, მაგალითად:
თოვს, წვიმს, ელავს.
უფრო ხშირად კი წინადადება ორ და მეტსიტყვიანია.

წერის დროს წინადადების ბოლოს წერტილს ვსვამთ.
კითხვის დროს წინადადების ბოლოს წერტილთან ვჩერდებით.

ამ ორი
წესის დაცვით დაწერე და
მერე წაიკითხე შენ მიერ
შედგენილი ხუთი
წინადადება.



გამეორება
ცოდნის
დედაა,ო,
შეგვახსენებს
ლათინური
ანდაზა.

ყურადღებით
წაიკითხე, ქვემოთ რაც
წერია და თითოეული
წინადადების ბოლოს
წერტილი დასვი.



1 _______________________
2 _______________________
3 _______________________
4 _______________________
5 _______________________

სიტყვა საგნის აღმნიშვნელი სახელია სიტყვა
ასო-ბგერებისაგან შედგება წინადადება
სიტყვებისაგან შედგება წერის დროს წინადადები
ბოლოს წერტილს ვსვამთ კითხვის დროს
წინადადების ბოლოს წერტილთან ვჩერდებით.

ერთი რამეც მინდა კარგად დაიმახსოვრო:
ქართულში სათაურის ბოლოს წერტილი არ იწერება!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორფევსი და ევრიდიკე

## მერვე ნაწილი





მიცვალებულთა სამეფოს მბრძანებელი დათანხმდა, მაგრამ ერთი პირობით: ორფევსი ევრიდიკეს წინ უნდა გაძღოლოდა და საიქიოდან გასვლამდე უკან არ უნდა მოეხედა. თუ ამ პირობას ვერ შეასრულებდა, ცოლს დაკარგავდა და ევრიდიკე სამუდამოდ აჩრდილთა ქვეყანაში დარჩებოდა.



① თუ გახსოვს, მითის პირველ და მესამე ნაწილში საკუთარი და საზოგადო სახელები დავახასიათეთ. ერთიცა და მეორეც არსებით სახელებს აჯგუფებს შინაარსის მიხედვით. არსებითი სახელი კი საგნის აღმნიშვნელი სიტყვაა. საგანი შეიძლება საკუთარი ძალით მოძრაობდეს, ამგვარ ცოცხალ არსებათა აღმნიშვნელი სახელები სულიერთა ჯგუფს მიეკუთვნება, ისეთი საგნებისა კი, რომელთაც საკუთარი ძალით მოძრაობა არ შეუძლიათ, უსულოთა ჯგუფს.

**ᲗᲣ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲘᲒᲔ, ᲐᲛ ᲪᲮᲠᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲘᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ**

| არსებითი სახელის ჯგუფები შინაარსის მიხედვით | |
|---|---|
| სულიერთა | უსულოთა |
| | |

② თხრობა მოსაწყენი, მოსაბეზრებელი რომ არ იყოს, ერთი და იმავეს გამეორებას ერიდებიან. მითის ამ ნაწილში ის ქვეყანა, რომელსაც ჰადესი განაგებდა, სამჯერაა ნახსენები და სამივეჯერ სხვადასხვანაირად.

1 ☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐☐ ☐☐☐☐☐☐

2 ☐☐☐☐☐☐

3 ☐☐☐☐☐☐☐☐ ☐☐☐☐☐☐☐

მითის სხვა მონაკვეთებში ამ ქვეყნის სხვაგვარი დასახელებებიც შეგვხვდა, იქნებ ისინიც გაიხსენო?

③. შეავსე ცარიელი უჯრები:

1. ვინ დათანხმდა ორფევსს?
2. ვინ დარჩებოდა სამუდამოდ აჩრდილთა ქვეყანაში?
3. ვინ უნდა გაძღოლოდა წინ ევრიდიკეს?
4. ვინ დაეკარგებოდა ორფევსს?

ოთხივე სიტყვა, რომელიც ცარიელ უჯრაში ჩაწერე, მოგვიგებს კითხვაზე **ვინ**. ქართულში კითხვა ვინ მხოლოდ ადამიანის აღმნიშვნელ სიტყვებს დაესმის, ყველა დანარჩენი – სულიერიც და უსულოც – მოგვიგებს კითხვაზე **რა**.

ახლა შენ არსებითი სახელის უფრო მეტ ჯგუფს იცნობ შინაარსის მიხედვით. ესენია:
1. სულიერთა და უსულოთა სახელები;
2. ვინ ჯგუფისა და რა ჯგუფის სახელები;
3. საკუთარი და საზოგადო სახელები.



## მეცხრე ნაწილი

ორფევსს მოუთმენლობა დაეტყო, სიმშვიდე დაკარგა. მაგრამ დიდხანს არ აცდევინეს და მოუყვანეს საყვარელი ცოლის აჩრდილი. გაუდგნენ გზას. პირობის თანახმად წინ თვითონ მიდიოდა, უკან კი ევრიდიკეს ლანდი მიჰყვებოდა. მაგრამ მათი ბედნიერება ამჯერადაც ხანმოკლე გამოდგა.

① მითის ამ მონაკვეთში მოძებნე

ა) შემდეგი სიტყვების სინონიმები:

აჩრდილი – □□□□□

მეუღლე – □□□□

ბ) შემდეგი სიტყვების ანტონიმები:

ხანგრძლივი – □□□□□□□□

წინ – □□□□

② შინაარსის მიხედვით არსებით სახელებში ასხვავებენ კონკრეტულ და აბსტრაქტულ სახელებს. კონკრეტულია სახელი, თუ ის აღნიშნავს ისეთ რამეს, რასაც ნივთიერი სახე აქვს, ან რასაც აღვიქვამთ გრძნობათა ორგანოებით (მაგალითად, ვხედავთ, გვესმის, ვეხებით და სხვა).

მითის ამ ნაწილიდან ამოიწერე ის სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ ისეთ რამეს, რასაც ნივთიერი სახე არა აქვს.

□□□□□□□□□□□

□□□□□□□□

□□□□□□□□□□

სიტყვები, რომლებიც ცარიელ უჯრებში ჩაწერე, აბსტრაქტული ანუ განყენებული სახელებია.

③

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქა | ჰა | დე | კე | რი | სი | რი | ის |
| ფევ | ევ | კერ | ბე | ორ | დი | ნი | რო |

თითოეულ უჯრაში ჩაწერილ ყოველ მარცვალს თითოჯერ თუ გამოიყენებ, ჩვენი მითის გმირების სახელებს მიიღებ.

□□ - □□□ - □□

□□ - □□ - □□ - □□

□□□ - □□ - □□

□□ - □□ - □□

□□ - □□ - □□

შინაარსის მიხედვით არსებით სახელთა რომელ ჯგუფს მიეკუთვნებიან შენ მიერ ცარიელ უჯრებში ჩაწერილი სახელები?

..............................................................................

თუ მოინდომებ, ზოგიერთ მარცვალთა შეერთებით სხვა სიტყვების მიღებაც შეიძლება.

## მეათე ნაწილი

სულ ცოტაღა რჩებოდა დედამიწამდე და ორფევსის სანუკვარი ოცნების ასრულებამდე, როცა მომღერალი საზარელმა ეჭვმა შეიპყრო, ევრიდიკე ხომ არ ჩამორჩა, ან მიცვალებულთა გუნდთან ერთად ხომ არ ჩაინთქა ქვესკნელის წყვდიადში! მისთვის ცეცხლზე ნავთის დასხმას ჰგავდა ისიც, რომ ნიმფას ფეხის ხმა არ ისმოდა, თუმცა აჩრდილს რა ფეხის ხმა ექნებოდა! საბრალო ორფევსი ამასაც ვერ მიმხვდარიყო.

① შინაარსის მიხედვით არსებითი სახელების შენ მიერ ნასწავლ ჯგუფებს კიდევ ორი მიუმატე:
**კრებითია** სახელი, თუ ის აღნიშნავს ადამიანთა, ცხოველთა ან ფრინველთა კრებულს. მაგალითად: ხალხი, ერი, ნახირი, ჯოგი.
ერთი კრებითი სახელი მითის ამ ნაწილშიცაა.

აბა, იპოვე – ☐☐☐☐☐

**ნივთიერებათა** სახელებია: – რკინა, ოქრო, თაფლი, მატყლი, ღვინო, წყალი და სხვა.
ჩვენს ტექსტში ამ ჯგუფის ერთი სახელიც არის.
მისი პოვნა შენ არ უნდა გაგიჭირდეს –

☐☐☐☐☐

②. ესა თუ ის საგანი ან მოვლენა ერთმანეთისაგან რაიმე ნიშან - თვისებით განსხვავდება. ზოგი რამ დიდია, ზოგი პატარა, ერთი მჩატეა, მეორე მძიმე და ა.შ. სახელს, რომელიც საგნის თვისებას ან ნიშანს გამოხატავს, **ზედსართავი** ჰქვია.
მითის ამ ნაწილში შეიცანი ზედსართავი სახელები და შეავსე ცარიელი უჯრები. სამივე სიტყვის პირველი მარცვალია

სა – ☐☐☐☐☐
სა – ☐☐☐☐☐☐
სა – ☐☐☐☐☐☐☐☐

③. ქვემოთ მოცემულია კითხვები. შენ უნდა გაიხსენო ის ზედსართავი სახელები, რომლებიც ამ კითხვებზე მოგვიგებენ და შეავსო ცხრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| როგორი? (ან რანაირი?) | რომელი? |
|---|---|
| | |

| როგორი? (ან რანაირი?) | რომელი? |
|---|---|
| | |

მეთერთმეტე ნაწილი



იმის მაგიერ, რომ ორფევსს ასი თვალი და ყური გამოება და როგორმე ევრიდიკე დედამიწაზე დაებრუნებინა, ეჭვებს აჰყვა, ჰადესისთვის მიცემული პირობა დაავიწყდა და უკან მიიხედა. ეს კი მაშინ მოხდა, როცა გზის მხოლოდ მეათედი რჩებოდა გასავლელი. ძლიერად იქუხა და მესამე გაელვების შემდეგ ევრიდიკეს ლანდიც გაქრა.

①. სიტყვას, რომელიც აღნიშნავს საგნის რაოდენობას (ასი), რიგს (მესამე), ან ნაწილს (მეათედი), რიცხვითი სახელი ჰქვია. ამის მიხედვით

## რიცხვითი სახელი

სამგვარია:
რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი.
შეავსე ცხრილის ცარიელი უჯრები.

| რაოდენობითი | რიგობითი | წილობითი |
|---|---|---|
| ასი | | |
| | მესამე | |
| | | მეათედი |



②. რაოდენობითი რიცხვითი სახელი
აღნიშნავს საგნის რაოდენობას და მოგვიგებს კითხვაზე – რამდენი?
ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება იყოს, მაგალითად, ასი, მაგრამ ასევე შეიძლება იყოს ბევრი, მრავალი, ცოტა.
პირველ შემთხვევაში ზუსტად არის დათვლილი რაოდენობა, მეორეში კი საგანთა რიცხვი განუსაზღვრელია.

შეადგინე წინადადებები განუსაზღვრელი რაოდენობითი რიცხვითი სახელების გამოყენებით.

③. რიგობითი სახელი აღნიშნავს საგნის რიგს. ის მოგვიგებს კითხვაზე მერამდენე? მეორე, მესამე, მეასე.

ალბათ იცი, რომ მეერთეს მაგივრად იხმარება

პ □ □ □ □ □ □

მაგრამ სხვა რიცხვით სახელებთან, რომლებიც „ერთს“ შეიცავენ, მეერთე ითქმის. მაგალითად, ოცდამეერთე. ჩამოთვალე რამდენიმე ასეთი სახელი.

წილობითი სახელი საგნის ნაწილს აღნიშნავს და მოგვიგებს კითხვაზე – მერამდენედი?
თუ საგანი ორ ტოლ ნაწილადაა გაყოფილი, თითოეული მათგანი მთლიანი საგნის მეორედი იქნება.
გახსოვდეს, რომ მეორედის სინონიმი ნახევარია, რომელიც აგრეთვე წილობითი სახელია და უფრო ხშირად იხმარება, ვიდრე მეორედი.

მეთორმეტე ნაწილი







ორფევსმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა. ასეთი შეცდომა სამუდამოდ აკარგვინებდა ევრიდიკეს.
დამწუხრებული ჭაბუკი ფიქრობდა, კიდევ ერთხელ ეთხოვა ჰადესისათვის ცოლის დაბრუნება, რისთვისაც სტიქსის გადალახვა იყო საჭირო. მაგრამ ქარონმა ამჯერად იგი აღარ გადაიყვანა მეორე ნაპირზე. არადა ორფევსს რომ სიფრთხილე გამოეჩინა, მას ხომ ცოტა ხნის წინ მხოლოდ ერთი ნაბიჯი აშორებდა დედამიწას და ზუსტად ამდენი – დიდ ბედნიერებას.

①. არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი სახელის ნაცვლად ზოგჯერ ნაცვალსახელი იხმარება. ტექსტში მოძებნე და ცარიელ უჯრებში ჩაწერე სახელები, რომლებსაც მოცემული სიტყვები ცვლის.

| | |
|---|---|
| ასეთი | – □ □ □ □ □ □ □ □ □ □ □ |
| იგი | – □ □ □ □ □ □ □ |
| ამდენი | – □ □ □ □ |

ოთხკუთხედში ჩასმული სიტყვები ნაცვალსახელებია და იმავე კითხვებზე მოგვიგებს, რაზედაც შენ მიერ ცარიელ უჯრებში ჩაწერილი შესაბამისი სახელები. აღნიშნე ზეპირად, რა კითხვებია ესენი?

②. ცარიელ უჯრებში ჩაწერე გამოტოვებული სიტყვები: □ □ ვკითხულობ ბერძნულ მითს. □ □ □ მისმენ და □ □ □ ურჩევ, რომ მომისმინოს. ახლა □ □ □ □ სამივემ ვიცით ეს მითი. □ □ □ □ □ სხვებსაც ეუბნებით, რომ ეს საინტერესოა. □ □ □ □ □ გვთხოვენ, რომ მათაც წავუკითხოთ.

ცარიელ უჯრებში ჩაწერილი სიტყვები პირის ნაცვალსახელებია.
შინაარსის მიხედვით ნაცვალსახელთა სხვა ჯგუფებიც გამოიყოფა.
მაგალითად, ჩვენებითი: ეს, ეგ, ის, იგი... კუთვნილებითი: ჩემი, შენი, მისი... და სხვა.

③. ქართულ ენაში არსებული სიტყვების მთელი მარაგი ათ ჯგუფად იყოფა. ხუთ ჯგუფს ჩვენ უკვე გავეცანით. ესენია: 1. არსებითი სახელი, 2. ზედსართავი სახელი, 3.რიცხვითი სახელი, 4. ნაცვალსახელი. 5. ზმნა.
ათივე ჯგუფს ერთად მეტყველების ნაწილებს უწოდებენ.



მითის ამ მონაკვეთის სიტყვები დაალაგე მეტყველების ნაწილებად და შეავსე ცხრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| არსებითი სახელი | ზედსართავი სახელი | რიცხვითი სახელი | ნაცვალსახელი | ზმნა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

მეცამეტე ნაწილი




შვიდი დღე-ღამის განმავლობაში იჯდა ორფევსი სტიქსის ნაპირას, აჟღერებდა სევდიან ქნარს და მისტიროდა ორგზის დაკარგულ მეუღლეს. ყველა ცდა რომ ამაო გამოდგა, მერვე დღეს თრაკიაში დაბრუნდა და სამშობლოში განაგრძობდა გლოვას.



①. ენაში არსებობს სიტყვები, რომლებიც ორი სიტყვის შეერთებით არის მიღებული. ასეთია, მაგალითად, დღე-ღამე. ამ შემაერთებელ პატარა ხაზს დეფისი ეწოდება. ის „და“ კავშირს ცვლის ე.ი. დღე-ღამე იგივეა, რაც დღე და ღამე.
შემდეგ წინადადებებში მოძებნე სიტყვები, რომლებიც დეფისით უნდა იწერებოდეს და შეავსე ცარიელი უჯრები.

ა. თრაკიაში ცხოვრობდა მოსიყვარულე ცოლქმარი.

☐☐☐ -☐☐☐☐☐

ბ. მათი ბედნიერებით მთაბარი ხარობდა.

☐☐☐ -☐☐☐☐

გ. ევრიდიკეს დაკარგვამ ორფევსს ხელფეხი გაუქვავა.

☐☐☐ -☐☐☐☐

დ. მომღერლის სევდამ მეფედედოფალი დაამწუხრა.

☐☐☐☐

-☐☐☐☐☐☐☐☐

②. მაგალითის მიხედვით ისრით დააკავშირე სიტყვები, რომლებიც დეფისით იწერება:

| | |
|---|---|
| დედა | საღამო |
| და | კვერცხი |
| დანა | ჩანგალი |
| ერბო | ძმა |
| დილა | ჩვილი |

③. დასრულდა მითი ორფევსსა და ევრიდიკეზე. შენ როგორ დაამთავრებდი ამ ამბავს? იქნებ რამეს შეცვლიდი ან დაამატებდი?

გააფორმა თეა მიქაიამ



რომანოზ დანელია

# ანბანური ნუმერაცია

ანბანური ნუმერაცია ოცდახუთი საუკუნის წინ გამოიგონეს. მცირე აზიაში, ძველბერძნულ კოლონიებში გაჩნდა რიცხვების აღნიშვნის ახალი სისტემა — ანბანური ნუმერაცია. ამ სისტემაში რიცხვებს აღნიშნავენ ანბანის ასოებით.

ქართული ანბანური ნუმერაცია ქართულ ანბანზეა აგებული და ბერძნულის გავლენა არ ეტყობა. იგი საკუთარ ნიადაგზეა შექმნილი და დამოუკიდებელი შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს.

ვნახოთ, როგორ ჩაიწერება ამ სისტემაში რიცხვი 345: ცხრილის მიხედვით 300 არის - „ტ“, 40 - „მ“, ხოლო 5 — „ე“, ამიტომ ანბანურ ნუმერაციაში რიცხვი 345 ასე ჩაიწერება: „ტმე“.

ანბანურ ნუმერაციაში მოუხერხებელია რიცხვებზე მოქმედებების შესრულება. ამიტომ მან შემდეგში ადგილი დაუთმო რიცხვების აღნიშვნის იმ სისტემას, რომელსაც ახლა ვიყენებთ.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ა<br>1 | ბ<br>2 | გ<br>3 | დ<br>4 | ე<br>5 | ვ<br>6 |
| ზ<br>7 | ჱ<br>8 | თ<br>9 | ი<br>10 | კ<br>20 | ლ<br>30 |
| მ<br>40 | ნ<br>50 | ჲ<br>60 | ო<br>70 | პ<br>80 | ჟ<br>90 |
| რ<br>100 | ს<br>200 | ტ<br>300 | ჳ<br>400 | უ<br>500 | ფ<br>600 |
| ქ<br>700 | ღ<br>800 | ყ<br>900 | შ<br>1000 | ჩ<br>2000 | ც<br>3000 |
| ძ<br>4000 | წ<br>5000 | ჭ<br>6000 | ხ<br>7000 | ჴ<br>8000 | ჯ<br>9000 |
| ჰ<br>10 000 | | | | | |



დაღლილმა კაცმა, რომელსაც არ უნდოდა დილით დაეგვიანებინა სამსახურში, დააყენა მაღვიძარა საათი 8.00-ზე და დაწვა დასაძინებლად საღამოს 7.00-ზე. რამდენი საათი ეძინა კაცს, სანამ მას გააღვიძებდა საათი?

საფრანგეთის სამეფო შეჯიბრებაზე ფარიკაობაში პირველი ოთხი ადგილი დაიკავეს ათოსმა, პორთოსმა, არამისმა და დარტანიანმა. ათოსის, პორთოსისა და დარტანიანის დაკავებული ადგილების ნომრების ჯამია 6, პორთოსისა და არამისის დაკავებული ადგილების ნომრების ჯამი აგრეთვე 6-ის ტოლია. რომელმა მუშკეტერმა რომელი ადგილი დაიკავა, თუ პორთოსმა უფრო მაღალი ადგილი დაიკავა, ვიდრე ათოსმა?



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

# მოგზაურობათა ისტორიიდან

[illegible]





[illegible]


12
9
3
6

ეროვნული ბიბლიოთეკა



წაიკითხეთ რებუსები და მიუთითეთ ადგილი რუკაზე.

შეადგინა გიორგი ინაიშვილმა
სკოლა „დაშარი" III კლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ვინ სად ცხოვრობს?







ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ შამანაძე

## კურდღელი და კენგურუ

- კენგურუ, ჩანთა მათხოვე,
სკოლაში მიმყავს ბაჭია.
- თუმცა დასავით მიყვარხარ,
სალაპარაკო არც კია,
რა ვუყო, როგორ გათხოვო,
შიგ მიზის შვილი ჯაჭია.

ციური თარგამაძე

## ძილისგუდა ფისო

ფისუნია-ფისოს
გაუჯავრდა ღვთისო:
- არ მინახავს მეთვალყურე
შენებრ უსინდისო,
თაგვის სორო ჩაგაბარე,
მითხარ, რა მოგდისო,
ჯერაც არ დაგიჭერია,
არხეინად ხტისო.
ფისუნიამ გაზმორებით
მოახსენა ღვთისოს:
- კაკლის კნაწა-კნუწისაგან
ფერი-ფური მდისო,
თუ ღმერთი გწამს, გაუტეხე,
აღარ მაცლის ძილსო,
გავიღვიძებ, გავუფატრავ
მუცელს გაბერილსო,
ვაზღვევინებ მაგ თაგუნას
სულ რომ მიფრთხობს ძილსო.
- ვის უნახავს დარაჯობა
ძილით გამძღარისო?!

ლია კობალაძე

## ფარიკაობა

მოუქნელი დათუჩელა
ბაჭიასთან ფარიკაობს,
დამუნმულებს, დაბაჯბაჯებს
თავის ფართო ფარითაო.
ყურცქვიტელა განთქმულია
ხერხითა და ფანდითაო,
მას დაჯაბნის დათუნია
ზონზროხა და ტანდიდაო?

მხატვარი მანანა მორჩილაძე

ჰაატა ჩხეიძე

# ყოჩაღ, მელია!

მხატვარი:

ნანა სანაია




ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიის სიწუწკისა და ეშმაკობის ამბავი ყველას გაგიგონიათ, მაგრამ აბა ის თუ იცით, სახლს როგორ იშენებს?




ამბობენ, მელიას პირდაპირ მაჩვის გამზადებულ სოროში უყვარს შესახლებაო. მოვარდება მაჩვი და სოროს მიწას მიაყრის, რომ მელია შიგ ცოცხლად ჩამარხოს.




მელია მაინც გამოდის გარეთ და სოროს შესასვლელს ისე წაბილწავს, რომ სისუფთავის მოყვარული მაჩვი ლამის ცუდად გახდეს. მერე კი, როცა დარწმუნდება, ვერც მელიას გამოვასწორებ და ვერც სოროს ამოვქოლავო, ტოვებს თავის სახლს და ახალ სოროს თხრის.




მელიას კუდზე იის სუნი ასდის. თუმცა ზოგიერთ მონადირეს ეს არ სჯერა. ეს სუნი ახალგაზრდა მელიას თურმე საცოლის მიგნებაში ეხმარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ჩვენი ზღაპრის მელიამაც ასე იპოვა ცოლი. ერთხელ სანადიროდ გასულ ჩვენს მელიას ძაღლები გამოეკიდნენ. მელიას ხეზე ასვლა შეუძლია და ასე იხსნა თავი.




თუ მელიამ დაინახა რომ მონადირეებსა და ძაღლებს ვერსად გაექცევა, მიწაზე გაწვება და თავს მოიმკვდარუნებს; მაგრამ როგორც კი მდევრები ყურადღებას მოადუნებენ, წამოხტება და უკან მოუხედავად მოკურცხლავს.




ახლა ის ნახეთ, როგორ იცილებს მელია რწყილებს. წაავლებს თურმე პირს მატყლის ან ჩალის ნაგლეჯს და ნელ-!ნელა შედის გუბურაში ან მდინარეში. რწყილები მშრალ ადგილს ეძებენ და ფეხებიდან თანდათან მუცელზე გადადიან, იქიდან – ზურგზე. მერე თავზე და ბოლოს – მატყლის (ან ჩალის) ნაგლეჯზე გადაინაცვლებენ.




მაშინ რწყილებთან ბრძოლის დიდოსტატი მტრის ჯარისკაცებით გადატვირთულ კიდობანს ბედის ანაბარა სტოვებს და ნაპირზე გამოდის. ცოტა ძნელი დასაჯერებელია, არა? ნამდვილად ასეა. ის კი ნამდვილად არ მჯერა, რომ ამბობენ, მელიას კუდით თევზაობა უყვარსო. რატომ? ამაზე სხვა დროს გიამბობთ.

# მოვივლიდით ერთად

**დალი მაზმიშვილი**

მინდა, ძლიერ მინდა,
ცადსაფრენი მქონდეს,
ჩავსვამ მზიას, თეას,
ვასიკოს და კოტეს.
ავცდებოდით უცებ
ამ ერთნაირ ქუჩებს,
ამ ერთნაირ სახლებს,
მაღლებს, თეთრებს, რუხებს.
მოვივლიდით ერთად
მშვენიერს და ლამაზს
მცხეთას, ატენს, სიონს,
გრემს, იყალთოს, არმაზს.
ჭრელა-ჭრულა მინდვრებს,
ბაღში ჩადგმულ ოდებს,
მინდა, ძლიერ მინდა,
ცადსაფრენი მქონდეს.



**ნინო ლონდარიძე**

# ზარმაცი მოსწავლის ნატვრა




ერთხელ იცით რა ვინატრე?!
უნდა გითხრათ სიმართლე!
სულ მუდამ რომ ყოფილიყო
სანატრელი კვირა დღე...

**ლია ოსიაშვილი**

# იხვის ჭუჭული

რა ჭკვიანი ჭუჭული მყავს,
აბა, შეხე, ფრიდონ!
ბებომ ჩამომიყვანა და
გამოვზარდე თვითონ.
შეამოწმე, თუ არ გჯერა
ჩემი წრფელი ფიცის:
სკოლაში არ უვლია და
ცურვა უკვე იცის.

**ნელი ოქროპირიძე**



შეავსეთ კროსვორდი და გაიგებთ, საით მიდიან
ეს მეგობრები.



მხატვარი თორნიკე ამბოკაძე

# რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს:

ეროვნული ბიბლიოთეკა





ელენე ბებერიშვილს,
გუგა ბერიშვილს,
გიორგი ბირკაძეს,
ნიკა ბუდაღაშვილს,
ლუკა და თამუნია გაგოშაშვილებს,
თათია დავითაშვილს,
ანა დათუნიშვილს,
მარი დოლაბერიძეს,
კოკა კალანდაძეს,
ამირან კამლაძეს,
ნიკუშა კევლიშვილს,
ნიკა კუპრეიშვილს,
რატი ლაგაზიძეს,
ნინო მენთეშაშვილს,
ნინო მირილაშვილს,
შოთიკო და თეკო საღლიანებს,
ნინო სიმონგულაშვილს,
გეგა ქართველიშვილს,
ილიკო და თამრიკო შამუგიებს

დაგვიკავშირდით ტელეფონზე
93-10-32





„ნობათის“ დახურვის შემდეგ ხუთი წლის მანძილზე საბავშვო ჟურნალი ჩვენში აღარ გამოდიოდა. მხოლოდ 1890 წელს დაარსდა ჟურნალი „ჯეჯილი“, რომელსაც ანასტასია თუმანიშვილი რედაქტორობდა. „ჯეჯილს“ ორი განყოფილება ჰქონდა – მცირეწლოვანთათვის და მოზრდილი ბავშვებისათვის.



„ჯეჯილში“ თანამშრომლობდნენ დიდი ქართველი მწერლები, პოეტები და მოღვაწეები – ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, შიო მღვიმელი, იაკობ გოგებაშვილი (მან დაარქვა სახელი ჟურნალს) და სხვანი.



*ბაზალეთისა ტბის ძირას*
*ოქროს აკვანი არისო,*
*და მის გარშემო წყლის ქვეშ*
*უცხო წალკოტი ჰყვავისო“.*

*ილია*

„იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!“

## რისთვის ვსწავლობთ?

მისთვის ვსწავლობთ, რომ კარგი ადამიანები გამოვიდეთ და ჩვენ სამშობლოს რამეში გამოვადგეთ. სულ ყველაფერზე უკეთ მინდა ვიცოდე დედა ენა.

თათარყან (11 წლ.) და საშა (8 წლ.)
დადეშკელიანები

1904 წელს მთავრობის ბრძანებით „ჯეჯილი“ დაიხურა და მხოლოდ 1905 წელს მოახერხეს მისმა მესვეურებმა ჟურნალის აღდგენა.

## «დილის» სათავე – «ნაკადული»

1904 წლის ნოემბერში, უჟურნალოდ დარჩენილი ქართველი ბავშვებისათვის, მარიამ დემურიას თაოსნობით, გამოვიდა ჟურნალი „ნაკადული“ ცალკე მცირეწლოვანთათვის და ცალკე – მოზრდილთათვის. მოზრდილთა ჟურნალი 1920 წელს გაუქმდა, მალე გაუქმდა 1905-ში აღდგენილი „ჯეჯილიც“ და „ნაკადული“ ერთადერთ საბავშვო გამოცემად შემორჩა.




უჩა სახლთხუციშვილი

## “მწვერვალის დაპყრობა”

თამაშში ორი ბავშვი მონაწილეობს: ერთი ბავშვი ავსებს კროსვორდის მარცხენა ნაწილს, სადაც ფრინველთა სახელებია ჩასასმელი, მეორე კი — მარჯვენა ნაწილს, სადაც ჩასასმელია ცხოველთა სახელები.

ყოველ საფეხურზე გასაღების სახით თავიდანვე ჩაწერილია თითო ასო. შევსება იწყება დაბლიდან. როგორც კიბის საფეხურებზე, ნელ-ნელა ავდივართ მაღლა და ვინც პირველი მიაღწევს მწვერვალს, ის იქნება გამარჯვებული.

**მარცხენა ნაწილი:**
1. გაზაფხულის მახარობელი. 2.მგალობელი. 3. მეფე. 4. ულამაზო, შავი ფრინველი. 5. ადამიანზე იტყვიან ხოლმე ....ვით დააცხრაო. 6.დიდთავა, თვალდაჭყეტილი.




**მარჯვენა ნაწილი:**
1. მშიშარა და ნაზია. 2. სწრაფი და ლამაზი, მოქნილი და უწყინარი. 3.ვისი ცრემლებისაც არავის სჯერა. 4. ბაჯბაჯა და უხეში. 5.ეშმაკობითა და თვალთმაქცობით სახელგანთქმული. 6.ნელა სიარულის ჩემპიონი.





# კაკლის სახლი

შეეცადეთ შეადგინოთ მოთხრობა ამ ნახატის მიხედვით

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვალერიან ჩეკურიშვილი

## ჩურჩხელები

გუშინ იცით როგორ თოვდა?
და დღეს თოვლი დიდია.
კრამიტებზე ლოლუების
ჩურჩხელები ჰკიდია,
დიდები და პატარები
- ვითომ გასაყიდია,
მყიდველები მოდიან და
ვერ სწვდებიან, მიდიან,
დაბლა იყოს - მსუნაგები
ალბათ მოიპარავდნენ,
მზეზე უნდა გაგვეშრო და
უცებ დაპატარავდნენ.
ამისთანა ამბის მომსწრე
მე ჯერ არა ვყოფილვარ,
პაპამ გვითხრა, მზე ლოკავსო,
მზეც მსუნაგი ყოფილა!

ლერი სიმონიშვილი

## ზამთრის პირი

რა ქარი ქრის, რა ქარი,
საშინელი, აშარი,
ჩადგება და მოჰყვება
მკაცრი, ცივი ზამთარი.
მზე რა იქნა? ღრუბლებში
დაიმალა? სად არი?
ჩიტუნებმაც მოძებნეს
საიმედო საფარი.
ნუთუ მათაც აწუხებთ
თოვლი, ყინვა, ზამთარი?

მხატვარი ქეთინო თოდუა

# გილოცავთ



გვანცა ცხოვრებაძე



გიორგი ბირკაძე



ზურაბ აშვეთია




**ვინ არის ყველაზე სწრაფი?**


მთავარი რედაქტორი დოდო წივწივაძე
სარედაქციო საბჭო: ლევან ბაბუხადია, ციცინო გამყრელიძე, გიორგი როინიშვილი, ნანი კაკაჩია, მაგდა კვაჭანტირაძე, თამარ ნინიკაშვილი, შერმადინ ქალდანი, თენგიზ ჩალაური
მისამართი: თბილისი, კოსტავას №14, ტელ.: 93 10 32, 93 41 30 გამოდის 1904 წლიდან
ფასი: 2 ლარი და 50 თეთრი, ხელმომწერთათვის 2 ლარი